

დამტკიცებულია

რექტორის

№ 14 ბრძანებით (18.08.2014)

დანართი 1

სასწავლო უნივერსიტეტის „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი“ იურიდიული სამსახურის დებულება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება განსაზღვრავს სასწავლო უნივერსიტეტის „ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი ბათუმი“ (შემდეგში - უნივერსიტეტი) იურიდიული სამსახურის (შემდგომში – სამსახური) სტატუსს, ფუნქციებს და აწესრიგებს მის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ურთიერთობებს.

2. სამსახური არის უნივერსიტეტის დამხმარე სტრუქტურული ერთეული.

3. სამსახური თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 2. სამსახურის ფუნქციები

იურიდიული სამსახურის ფუნქციებია:

- ა) უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფა;
- ბ) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავება ან/და მონაწილეობის მიღება მათ შემუშავებაში. საჭიროების შემთხვევაში ამ პროექტების კანონმდებლობით დადგენილი წესით წარდგენის პროცედურათა ხელშეწყობა;
- გ) სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში, უნივერსიტეტისა ან/და სხვა ორგანოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი სამართლებრივი აქტების პროექტებზე დასკვნების მომზადება;
- დ) კონტროლი და კოორდინაცია უნივერსიტეტის სამართლებრივი სისტემის ჩამოყალიბებაზე, მის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფაზე;
- ე) უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტების უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;
- ვ) შემოსული განცხადებების განხილვა ან/და მათ განხილვაში მონაწილეობა, სამსახურის კომპეტენციის ფარგლებში;
- ზ) უნივერსიტეტში გასაფორმებელი სხვადასხვა სახის ხელშეკრულებების, მემორანდუმებისა და შეთანხმებების სამართლებრივი ექსპერტიზა (შეთანხმება);
- თ) უნივერსიტეტის მართვასა და საქმიანობასთან დაკავშირებით მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე წინადადებების მომზადება;
- ი) უნივერსიტეტის წარმომადგენლობა და მისი ინტერესების დაცვა სახელმწიფო, კერძო დაწესებულებებსა და საერთო სასამართლოებში, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე;
- კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ფუნქციები და ამოცანები.

მუხლი 3. სამსახურის ხელმძღვანელობა

1. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი;
2. სამსახურის უფროსი:
 - ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს სამსახურის საქმიანობას;
 - ბ) წარმოადგენს სამსახურს დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას და პასუხისმგებელია მათ შესრულებაზე;
 - გ) ანაწილებს მოვალეობებს მოსამსახურეებს შორის, აძლევს მათ მითითებებსა და დავალებებს;
 - დ) ზედამხედველობს მოსამსახურეების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვან შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;
 - ე) ხელს აწერს სამსახურში მომზადებულ დოკუმენტებს და თავისი კომპეტენციის ფარგლებში ვიზით ადასტურებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებული სამართლებრივი აქტების პროექტებს;
 - ვ) წარადგენს ანგარიშს სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ნებისმიერ დროს, რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;
 - ზ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს დასკვნებს სამსახურის სახელით;
 - ხ) ახორციელებს ამ დებულებით და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ფუნქციებს.

მუხლი 4. სამსახურის მოსამსახურეები

1. სამსახურის მოსამსახურეებს კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.
2. მოსამსახურეების ფუნქციები განისაზღვრება უნივერსიტეტის შინაგანაწესით, სამსახურის უფროსის სამსახურებრივი დავალებებითა და საქართველოს კანონმდებლობით.
3. მოსამსახურეები ანგარიშვალდებულნი არიან სამსახურის უფროსის წინაშე.